

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების
სამართლებრივი თავისებურებანი

ლალი ზვიადაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო(ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკელიძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლალი ზვიადაძე/ ლ.ზვიადაძე 14.02.2022 წელი

აბსტრაქტი

მხარეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შევიდნენ სამართლებრივ ურთიერთობაში, ეძებენ სანდო კონტრაქტს. სამართლებრივი ურთიერთობისას მხარეთა ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესია ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუმცა, სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში, შეიძლება არ შესრულდეს ნაკისრი ვალდებულება.

მათ, ვისაც არ სურს გრძელვადიანი სასამართლო პროცესები, სოლიდური ფინანსური დანახარჯები, კანონმდებელი სთავაზობს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემას. მოცემული ნაშრომის საგანია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, მისი აღსრულება და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი თავისებურებანი. სააღსრულებო ფურცლი გაცივმა კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობებისა და საფუძვლების შესაბამისად.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა ვალდებულების შეუსრულებლობისას, კრედიტორის დარღვეული უფლების დასაცავად ეფექტური და პრაქტიკული საშუალებაა. აღნიშნული ინსტიტუტი გამოიყენება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

საძიებო სიტყვები: სააღსრულებო ფურცელი, ვალდებულებები, კრედიტორი, უფლების დაცვა, აღსრულება, პრაქტიკული, ეფექტური, საქართველო, ნოტარიუსი, სასამართლო პროცესი.

Abstract

The parties who are seeking to enter into a legal relationship try to find a reliable contrahent. Fulfillment of obligation in a legal relationship is the most important part of that relationship. Unfortunately, however, situations arise in real life when obligations are not fulfilled.

For those who do not want to get entangled into long-term trials and solid financial costs, a legislator offers a writ of execution which is issued by a Notary. The aim of this paper is a writ of execution issued by a Notary, its execution and other legal features of above-mentioned subject. A writ of execution is issued in accordance with precisely defined preconditions and grounds.

A writ of execution issued by a Notary is an effective and practical tool when it comes to protection of the violated right of the Creditor. Following institute is practiced in Georgia and in abroad as well.

Key words: A writ of execution, obligations, creditor, protection of the right, execution, practical, effective, Georgia, Notary, trial.